## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 138
07/02/2019

ქალაქი ბათუმი

138-05-4-201902071437

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარმოსადგენად კომისიის შექმნის შესახებ**

„საჯარო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად 2018 წლის 13 მარტის შ.პ.ს „მარიამი ო.ბ 2006"-სა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული №37 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს „მარიამი ო.ბ 2006"-ი ახორციელებდა სოფელ მახვილაურში ჭაბურღილის (სამფაზიანი ტუმბოს მონტაჟი), აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოებს. ხელშეკრულების თანახმად აღნიშნულ ობიექტზე გათვალისწინებული იყო 40 მ³ ტევადობის წყლის რეზერვუარის, ჭაბურღილის, საქაჩი ტუმბოსა და წყლის მილების მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოებიდან ჭაბურღილის და საქაჩი ტუმბოს მოწყობის სამუშაოები განხორციელდა 2018 წლის 21 მარტს, რაზედაც შედგა მიღება-ჩაბარების აქტი. დარჩენილი სამუშაოები განხორციელდა შემდგომ პერიოდში და დასრულდა 2018 წლის 30 ოქტომბერს. იმის გამო, რომ მშენებარე ობიექტისთვის მიწის დარეგისტრირების პროცესი გაჭიანურდა ვერ მოხერხდა ელექტრო ენერგიის მიწოდებისათვის საჭირო ტექნიკური პირობის მიღება და ჭაბურღილის ელ. ქსელზე დაერთება. რადგან არ შეიძლებოდა არამუშა მდგომარეობაში ჭაბურღილის ტუმბოს ჭაში დატოვება, მშენებლის მიერ მოხდა ტუმბოს დემონტაჟი და შენახვა. მას შემდგომ რაც განხორციელდა აღნიშნული ობიექტისათვის მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში დარეგისტრირება (№22.26.05.736 29.10.2018 წ) მიმართვა ენერგოპროჯორჯიას ხელვაჩაურის სერვისცენტრს, (წერილი №05.17985 29.10.2016 წ.) რის შემდგომაც მოხდა ელექტრომომარაგების ტექნიკური პირობის გაცემა და ელ. ქსელის მოწყობა. ელექტროენერგიის მიწოდების განხორციელება მოხდა 2018 წლის დეკემბრის დასაწყისში. შპს „მარიამი ო.ბ 2006" -ის 2018 წლის 25 დეკემბრის 17354/05 მიმართვაში განმარტებული იყო, რომ 2018 წლის 13 მარტის შ.პ.ს „მარიამი ო.ბ 2006"-სა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული №37 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს „მარიამი ო.ბ 2006"-მა განახორციელა სოფელ მახვილაურში ჭაბურღილის (სამფაზიანი ტუმბოს მონტაჟი), აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოები დასრულებული იქნა 2018 წლის 30 ოქტომბერს. სამუშაოების შესრულების პირველ ეტაპზე მოეწყო ჭაბურღილი და ჩაიდგა წყლის საქაჩი ტუმბო.

რაზეც შედგა მიღება-ჩაბარების აქტი და საექსპერტო დასკვნა. ამის შემდგომ სამუშაოების წარმოება გაგრძელდა. მაგრამ ელ. ენერგიის არ ქონისა და იმის გამო, რომ წყლის-სატუმბი ტუმბო არა მუშა მდგომარეობაში დიდი ხნის ყოფნის გამო არ გამოსულიყო მწყობრიდან მოხდა დემონტაჟი შენახვის მიზნით. სამუშაოთა საბოლოოდ დასრულების შემდგომ მოხდა ტუმბოს მონტაჟი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტუმბო იყო დეფექტის მქონე, ამის შემდგომ მის მიერ მოხდა ტუმბოს წაღება დეფექტის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული მომართვით შ.პ.ს „მარიამი თ.ბ 2006"-მა აიღო ვალდებულება, რომ უმოკლეს დროში მის მიერ იქნებოდა ზემოთაღნიშნული პრობლემა მოგვარებული და განხორციელდებოდა ტუმბოს მონტაჟი.

შპს „მარიამი-თ.ბ. 2006" -ზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის არაერთი წერილობითი მიმართვისა: კერძოდ: №9211/05 18.12.18., №05/9305 24/12/2018, №05/9404 24/12/2018, №05/9497 27/12/2018 და №05/177 11/01/2019 წ კომპანიის მიერ არ განხორციელდა ელექტროენერგიის დაერთება ჭაბურღილზე, რათა მოხდეს წყლის მიწოდება წყალმომარაგების ქსელზე (ექსპლუატაციაში სრული ჩაშვება) და მიუხედავად ხელშეკრულების საგარანტიო ვადებისა არ იქნა შესრულებული აღებული ვალდებულება.

იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე პერიოდამდე სოფელ მახვილაურის მოსახლეობას არ მიეწოდება წყალი ზემოთაღნიშნული პრობლემების გამო, საჭიროა მოხდეს მუნიციპალიტეტის მიერ საკითხის გადაჭრა საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შეიქმნას კომისია, რომელიც უზრუნველყოფს სოფელ მახვილაურში ჭაბურღილის (სამფაზიანი ტუმბოს მონტაჟი), აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესწავლა/დაანგარიშებასა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენას.

ყოველი ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის თანახმად **ვბრძანებ:**

1. სოფელ მახვილაურში ჭაბურღილის (სამფაზიანი ტუმბოს მონტაჟი), აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარმოსადგენად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კახაბერ ფუტკარაძე – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ვახტანგ დიასამიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თეიმურაზ გაწერელია - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დ) გიორგი ქურიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ე) მურაზ გვიანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ვ) ანა ბაგაშვილი - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის მდივანი;

2. დაევალოს კომისიას სოფელ მახვილაურში ჭაბურღილის (სამფაზიანი ტუმბოს მონტაჟი) აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესწავლა და შესაბამისი დასკვნის წარდგენა მუნიციპალიტეტის მერთან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.